ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, SH.RUSTAVELI STR., SENAKI, GEORGIA

Tel.: 0413 27660, 275016
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

განკარგულება:**გ-41. 41241792**
თარიღი:**27/06/2024**

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 ივნისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის,,ბ“ პუნქტის ,,ბ.ი.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ნოემბრის №7 დადგენილების მე-10 მუხლის, მე-3 ნაწილის ,,ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად

1. დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 ივნისის დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით:

,,1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

2. შ.პ.ს. ,,სენაკის ბავშვთა საავადმყოფოს” მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ინგა ქარდავა

3. 2020-2022 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელების ეფექტიანობის სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ბ.ადრი კალანდარიშვილი

4. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

5. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პროგრამიდან დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 მარტის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი

6. „სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ“

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი

7. „სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესის ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი“

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საბა ოდიშარია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი